

სოფიკო ლობჯანიძე

უკუკავშირის მეთოდები

(ნაწილი პირველი)

უკუკავშირის მეთოდები ორი კრიტერიუმით ირჩევა: უნდა იძლეოდეს პროცესის დიალოგურ რეჟიმში წარმართვის საშუალებას - მაშასადამე, საკვანძო ელემენტია საკითხის/პრობლემის ერთობლივი განხილვა - და იყოს შეძლებისამებრ სწრაფად გამოყენებადი და ადვილად სამართავი.

უკუკავშირის მეთოდის შერჩევასას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, სასწავლო პროცესის რომელ ეტაპზე - დასაწყისში, შუაში თუ დასასრულს - სურს მისი გამოყენება.

ქვემოთ გაგაცნობთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სხვადასხვა საფეხურზე აპრობირებულ უკუკავშირის მეთოდებს, რომელთაც მასწავლებელი იყენებს სასწავლო პროცესის/თემის საწყის ეტაპზე (Bastian J., Combe A., Langer R., (2007) Feedback-Methoden, Weinheim und Basel: Beltz). უკუკავშირის უამრავი მეთოდიდან შევარჩიეთ ისინი, რომლებიც ტექნიკურად განსაკუთრებით ადვილი განსახორციელებელია, მოსწავლეებისთვის სახალისო და ადვილად გასაგები და, ამასთანავე, ინფორმაციული.

პირველი მეთოდი - პირველი განცდები და მოლოდინები

მოსწავლეები წერილობით გადმოგვცემენ, რას განიცდიან და რას ელიან ახალი სკოლისგან/კლასისგან, სასწავლო კურსისგან, პროექტისგან და ა.შ.

შესაძლო კითხვები:

- . რა სასიამოვნო განცდა მოგგვარა პირველმა შთაბეჭდილებამ? ყველაზე მეტად რა მოგეწონა?
- . ყველაზე მეტად რა არ მოგეწონა პირველი შთაბეჭდილებით? რას გააკრიტიკებდი?
- . რას მოელო ამ სკოლისგან/კლასისგან/პროექტისგან?
- . რის განცდა არ გსურს?

მასწავლებელმა აუცილებლად კლასთან/ჯგუფთან ერთად უნდა განიხილოს და შეაფასოს პასუხები, რათა ჯგუფის ყოველმა წევრმა გაიგოს და გაითავისოს თითოეულის მოლოდინები და განცდები. ეს მათ დაეხმარება ეფექტიან თანამშრომლობაში, საკლასო კულტურის დამკვიდრებაში, რაც, თავის მხრივ, მაღალი აკადემიური მოსწრების აუცილებელი პირობაა.

მეორე მეთოდი - "თავდაყირა"

ერთობლივი საქმიანობის საწყის ეტაპზე ჯგუფის თითოეულმა წევრმა როგორც საკუთარ თავს, ისე მთელ ჯგუფს უნდა დაუსვას კითხვა: რა ვიღონოთ, თუ მუშაობისას ჩიხში აღმოვჩნდით? ჯგუფის ყოველი წევრი საკუთარ თვალსაზრისს (თითოეული მათგანი - მაქსიმუმ სამს) წერს ბარათებზე და აკრავს კედელზე. შემდეგ მთელი ჯგუფი ახარისხებს ბარათებს მსგავს მოსაზრებებად. ბოლოს მონაწილეები თითოეულ მოსაზრებას "თავდაყირა" (პოზიტიური ფორმულირებით) დააყენებენ და თანხმდებიან, რას უნდა მიაქციონ ყურადღება მუშაობისას წარმატების მისაღწევად.

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია, მაგალითად, სასწავლო პროექტზე მუშაობის დაწყებისას.

მესამე მეთოდი - ბარათებით მუშაობა (როგორია კარგი გაკვეთილი?)

ამ მეთოდით მასწავლებელს შეუძლია გაიგოს, როგორ წარმოუდგენიათ მოსწავლეებს კარგი გაკვეთილი (სკოლა, მასწავლებელი, საშინაო დავალება და ა.შ.) და შეუთანხმდეს მათ მომავალი ერთობლივი მუშაობის დაგეგმვის თაობაზე.

მეთოდის გამოყენება:

. თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად სცემს პასუხს კითხვაზე: "რა ქმნის კარგ გაკვეთილს?" (კარგი გაკვეთილის მახასიათებლები) და ბარათზე წერს.

ალტერნატივა: ბარათებზე წინასწარ წერია პასუხები, რომელთაგან მოსწავლე ირჩევს სასურველს.

2. მოსწავლეები იყოფიან მცირე (ოთხიდან ექვს კაცამდე) ჯგუფებად და კედელზე ისეთი თანამიმდევრობით აკრავენ ბარათებს, რომ დაიხატოს/წარმოჩნდეს "კარგი გაკვეთილის" სურათი.

ალტერნატივა: მონაწილეები დისკუსიის შედეგად ალაგებენ ბარათებს შემდეგ ველებად: (1) მთლიანად სრულდება; (2) საკმარისად სრულდება; (3) არ სრულდება; (4) გვიჭირს შეფასება.

3. ჯგუფები საკუთარ პლაკატებს წარუდგენენ ერთმანეთს;

მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი გააკეთებს პრეზენტაციას, იმართება დისკუსია: როგორ მიგუახლოვდეთ ასეთ იდეალურ გაკვეთილს? კონკრეტულად ჩვენ რას გავაკეთებთ ამისთვის?

დაგეგმილი ნაბიჯები ან სასურველი მიზნები უმჯობესია დალაგდეს პრიორიტეტების მიხედვით.

პრიორიტეტების სია			
ჩვენ ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ	რატომ მივიწრაფით ამ მიზნისკენ განსაკუთრებით?	რატომ მივიჩნიეთ ეს მიზანი მეორეხარისხოვნად?	რანგი
პირველი მიზანი/ნაბიჯი	მნიშვნელოვანია, რადგან... სასწრაფოდ, რადგან... წარმატების იმედით, რადგან... ჩვენ ეს შეგვიძლია, რადგან...	მეორეხარისხოვანია, რადგან არ არის სასწრაფო რადგან.... ჩვენ ეს არ შეგვიძლია, რადგან... წარმატების იმედი არ გვაქვს, რადგან...	
მეორე მიზანი/ნაბიჯი			
მესამე მიზანი/ნაბიჯი			

მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ საკითხის ირგვლივ პასუხთა მთელი სპექტრი იქნება წარმოდგენილი, ხოლო დისკუსია ამცირებს "ორაზროვანი" შეფასების საფრთხეს. დისკუსიის ფაზაში მოდერატორს განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება, რათა არ მოხდეს ჯგუფის ცალკეულ წევრთა დომინირება, რაც შედეგზე მოახდენს გავლენას.

მეთოთხე მეთოდი - საოცნებო სკოლა

1. მოსწავლეები იყოფიან ოთხ-ხუთკაციან ჯგუფებად და პლაკატზე გამოსახვენ მათთვის საოცნებო სკოლის ძირითად მახასიათებლებს ("ასეთია ჩვენი საოცნებო სკოლა").
2. ამის შემდეგ თითოეული ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას და ხსნის, რას გულისხმობს მათი ნახატების თითოეული დეტალი.
3. იმართება საერთო დისკუსია: რის გაკეთება შეგვიძლია თავად ჩვენ საოცნებო სკოლის თუნდაც მცირე ნაწილი რეალობად რომ ვაქციოთ?
4. მასწავლებელმა დისკუსია შემდეგი საკვანძო წინადადებებით უნდა შეაჯამოს: ჩვენი სკოლა არის... ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ... ჩვენ მზად ვართ... ჩვენ სკოლისაგან ველით, რომ...

უკუკავშირის ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობს დაწყებით კლასებში.

მეხუთე მეთოდი - დავგეგმოთ და გავაუმჯობესოთ ერთობლივად

პირველი ნაბიჯი: ინფორმაციის შეკრება

(ა) ბარათებით გამოკითხვა

მასწავლებელი დაფაზე წერს კითხვას, რაზეც მოსწავლეებისგან მოელის უკუკავშირს. მოსწავლეები ბარათებზე მსხვილი ფლომასტერით/მარკერით წერენ საკუთარ იდეებს. მოსწავლემ თითო ბარათზე უნდა გადმოსცეს მხოლოდ ერთი იდეა, ჩამოყალიბებული ერთ წინადადებად და არა მხოლოდ საკვანძო სიტყვად. თითოეულ მოსწავლეს შეუძლია წარმოადგინოს სამიდან ხუთ იდეამდე (კლასის ზომის მიხედვით). ამის შემდეგ ბარათები გროვდება, ხმამაღლა იკითხება და ჯგუფდება. ყოველ ჯგუფს მიეცემა სათაური.

როდის ვიყენებთ?

- * საწყის ეტაპზე;
- * როცა თემის ირგვლივ მრავალი მოსაზრება/იდეა უნდა შეიკრიბოს;
- * კომპლექსური თემებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურ ფიქრს მოითხოვს;
- * როცა გვინდა, კრეატიულ პროცესებს ხელი შევუწყოთ;
- * როცა ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა;
- * როცა ცალკეული მოსაზრებები საერთო სურათად უნდა დალაგდეს.

(ბ) გონებრივი იერიში

იდეების შეკრებისას ბარათებით გამოკითხვის ალტერნატივას წარმოადგენს გონებრივი იერიში, როდესაც მოსწავლეები კითხვებზე პასუხებს/საკუთარ იდეებს ადგილიდან ხმამაღლა გამოთქვამენ.

ბარათებით გამოკითხვის უპირატესობა ის არის, რომ ამ დროს ყველა მოსწავლე დამოუკიდებლად გამოხატავს აზრს და არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, მაგრამ ეს უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ტრადიციული გონებრივი იერიში.

მეორე ნაბიჯი: თემების შეფასება მნიშვნელოვნებისა და გადაუდებლობის მიხედვით

ბარათებით გამოკითხვის/გონებრივი იერიშის შედეგად დაჯგუფებულ/ერთი სათაურის ქვეშ მოქცეულ ნაწილებს მოსწავლეები პრიორიტეტების მიხედვით ალაგებენ.

მესამე ნაბიჯი: ყველაზე პრიორიტეტული თემების დამუშავება

ამ ეტაპზე კლასი იყოფა მცირე (5-7-კაციან) ჯგუფებად. ჯგუფები ინაწილებენ წინა საფეხურზე შერჩეულ პრიორიტეტულ თემებს და დეტალურად ამუშავებენ ფარული მიზეზების, საფუძვლების, პირობების აღმოსაჩენად, ხოლო მიღებულ დასკვნებს მთელ კლასს წარუდგენენ. უმჯობესია, თითო ჯგუფმა თითო თემაზე იმუშაოს.

(ა) SOFT ანალიზი

SOFT ანალიზი საუკეთესო მეთოდია, რომლის მეშვეობით თემის დამუშავებისას შესაძლებელია მისი სტრუქტურირება. მოსწავლეები შერჩეულ საკითხზე ინდივიდუალურად ავსებენ ქვემოთ მოცემული ცხრილის ოთხივე ველს. ჯგუფში მართავენ დისკუსიას, დასკვნებს შეაჯერებენ და შედეგებს მთელ კლასს წარუდგენენ.

<p>ძლიერი მხარე (Satisfactions)</p> <ul style="list-style-type: none"> * ეს ძალიან კარგია; * ეს ჩვენ გვაკმაყოფილებს; * ეს შესანარჩუნებელია და ა.შ. 	<p>შესაძლებლობები (Opportunities)</p> <ul style="list-style-type: none"> * ეს კარგი დასაწყისია; * ეს შეგვიძლია განვავითაროთ; * ამ რესურსების გამოყენება შეგვიძლია და ა.შ.
<p>სუსტი მხარე (Faults)</p> <ul style="list-style-type: none"> * ეს არ მიდის კარგად; * ეს ხელს გვიშლის; * ეს უნდა შეიცვალოს/გაუმჯობესდეს; 	<p>საფრთხეები (Threats)</p> <ul style="list-style-type: none"> * შესაძლოა, შევეჯახოთ ამ პრობლემებს; * მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგან...

თემის დამუშავების პროცესში SOFT ანალიზის ალტერნატივად მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ შემდეგი ანალიტიკური ცხრილი, რომელიც მათ და მათ მასწავლებელს პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება:

<p>1. რატომ ვუყურებ მე ამ საკითხს ასე?</p> <ul style="list-style-type: none"> * ამ საკითხისადმი ჩემი ასეთი დამოკიდებულების მიზეზია... * ჩემს ასეთ დამოკიდებულებას იწვევს, კერძოდ...
<p>2. ჩვენი სურვილია</p> <ul style="list-style-type: none"> * ჩვენი სურვილია, ეს იყოს ასე... * ჩვენი იდეაა... * ჩვენი მიზანია...
<p>3. ეს ხელის შემშლელი ფაქტორები შესაძლოა ამოტივტივდეს და დაბრკოლებად გვექცეს.</p> <ul style="list-style-type: none"> * ჩვენ გვაკლია ეს რესურსები, ძალები, შესაძლებლობები. * ამით გზას ვუღობავთ ჩვენს თავს.
<p>4. ამ ანალიზის შედეგად ჩვენ შემდეგ ნაბიჯებს გადავდგამთ:</p>

მეოთხე ნაბიჯი: სამუშაოს შედეგების პრეზენტაცია, დისკუსია და მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვა.

ჯგუფების მიერ კლასის წინაშე დასმული პრობლემის მოსაგვარებლად გადასადგმელი ნაბიჯები დისკუსიის შედეგად გადაიტანება აქტივობათა კატალოგში, რომელსაც შეიძლება ასეთი ცხრილის სახე ჰქონდეს:

აქტივობათა კატალოგი			
რას ვაკეთებთ?	ვინ აკეთებს?	ვისთან ერთად?	რა შედეგს გამოიღებს ეს?